

დანართი №3

2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 (CMR 140125619) ხელშეკრულებაზე

თბილისი

30.03.2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის სალომე იობიძის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 30 მარტის №1907-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა – სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ.1-კმ.6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია – მშენებლობის სამუშაოების დეტალური საპროექტო – სახარჯთაღრიხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 31 მარტის ნაცვლად გაგრძელდეს 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

2. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N06-14 ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი
სალომე იობიძე

მიმწოდებელი
შპს საპროექტო – საკვლევაძიებო
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the document, including the signature of Salome Iobidze and Tali Taliaashvili.